

**№508 „ტრანსპორტის და მანქანათმშენებლობის  
ვენეჯინების,, ღეკარტამენის მოქლე ისტორია**

ეკონომიკის და ორგანიზაციის კათედრა არსებობდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში (სპი) მისი დაარსებიდან.

1917 წელს დაარსებულ თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სულ ოთხი კათედრა არსებობდა, მათ შორის ეკონომიკის და ორგანიზაციის კათედრაც იყო. მისი გამგე და ამავე დროს ეკონომიკური ფაკულტეტის პირველი დეკანი იყო ი. ს. გამბაროვი.<sup>1</sup>

1936 წლიდან არსებულ საქართველოს ინდუსტრიულ ინსტიტუტში კათედრა ზოგად საინსტიტუტო სტატუსით ფუნქციონირებდა.

ასეთივე დასახელების კათედრები არსებობდა 1948 წელს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაარსებამდე ისეთ ინსტიტუტებში, როგორებიცაა:

1. საქართველოს საინჟინრო-სამშენებლო;
2. ამიერკავკასიის ენერგეტიკული;
3. ამიერკავკასიის სამთო-მეტალურგიული;
4. ამიერკავკასიის ქიმიურ-ტექნოლოგიური;
5. ამიერკავკასიის მიმოსვლის გზათა ინჟინერთა ინსტიტუტი;
6. ამიერკავკასიის საინჟინრო-მელიორაციული (ეს უკანასკნელი გადატანილ იქნა განჯაში).

---

<sup>1</sup> ნებერიძე ნ., დიდიშვილი გ., პავლიაშვილი ს. ტექნიკური უმაღლესი განათლების საწყისები საქართველოში. თბ. 1997. გვ. 63.

საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში კი კათედრა ფუნქციონირებდა „ეკონომიკის და ორგანიზაციის“ სახელით და ემსახურებოდა ყველა საინჟინრო მიმართულების ფაკულტეტს, აგრეთვე ამზადებდა ინჟინერ-ეკონომისტებს, რომელთათვისაც იგი მაპროფილებელი კათედრა იყო.

გასული საუკუნის 90-ანი წლებიდან ცალკეულ ფაკულტეტებზე შეიქმნა ანალოგიური დასახელების რამდენიმე კათედრა, რომელთაგან ძირითადი იყო ეკონომიკის და მენეჯმენტის 112 კათედრა, მის ბაზაზე კი დღეს ფუნქციონირებს „ტრანსპორტის და მანქანათმშენებლობის მენეჯმენტის დეპარტამენტი“. იგი ემსარუება სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე ინჟინრების მომზადებას ეკონომიკური და მენეჯმენტული საგნების მხრივ. ამავე დროს კათედრა ამზადებს ბაკალავრებს, მაგისტრებს „ბიზნესის ორგანიზაციის და მართვის“ სპეციალობით, ხოლო დოქტორანტებს და დოქტორებს „ტრანსპორტის და მრეწველობის მენეჯმენტის“ სპეციალობით.

კათედრას თავის დროზე უძღვებოდნენ თავიანთი სფეროს ისეთი გამოჩენილი სპეციალისტები, როგორებიც იყვნენ; აკადემიკოსი ა. გუნია, პროფესორები ბ. კელენჯერიძე და გ. დიდიშვილი. დღეისათვის დეპარტამენტს უძღვება პროფესორი გ. ტყეშელაშვილი.

დეპარტამენტში მუშაობენ თავიანთი დარგის ღრმად მცოდნე სპეციალისტები, რომელთა სამეცნიერო ინტერესების სფეროა – საქართველოს ეკონომიკის და მენეჯმენტის აქტუალური საკითხები, როგორც მაკრო-, ისე სექტორულ ჭრილში.